**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# იოანე მტბევარი

იოანე მტბევარი, X ს. ქართველი საეკლესიო მოღვაწე, ჰიმნოგრაფი, მთარგმნელი.

როგორც ტბეთის სახარების (995) მინაწერიდან ჩანს, 978-იდან ტბეთის ეპისკოპოსი ყოფილა, 995 კი მაწყვერელად დაუდგენიათ. მიქაელ მოდრეკილის „იადგარში" (978–988) დაცულია VII–IX სს. ბერძენ ავტორთა ჰიმნების თარგმანები, რ-ებიც ი. მ-ს ეკუთვნის. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართ. ჰიმნოგრაფიული ტერმინი „მოკაზმული".

*თხზ.* იხ. სტ-თან *იოანე მინჩხი*.

***ლ. ჯღამაია***